პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
29 აპრილი
1944 წ.
№ 87 (7031)
ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის, ბედნიერებისა და დიდების საიმედო დასაყრდენს! გაუმარჯოს საბჭოთა სამშობლოს! გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო საპირველმაისო მოწოდებანი

მძლავრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქ მოსკოვიდან მსოფლიოში გაისმის ლენინ-სტალინის პარტიის საბრძოლო მოწოდება:

— გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა ხალხთა ბრძოლა ძალების დათვალიერების დღეს! მშრომელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის საბრძოლველად!

ბრძოლისაკენ ამ მოწოდებით აწყობა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გუშინ გამოქვეყნებული მოწოდებანი 1944 წლის 1 მაისისათვის.

საბჭოთა ხალხი მესამე სამხედრო პირველმაისობას აღნიშნავს. 1942 წელს, სამამულო ომის მეთერთმეტე თვეზე, პირველმაისობა აღინიშნა მოსკოვთან ჩრდილოეთიდან გამარჯვებით. გმირმა წითელმა არმიამ უკუაგდო მტრის ურდოები საბჭოთა კავშირის დედაქალაქიდან. მან მტერს აგება დარტყმები ლენინგრადთან, როსტოვთან, კალინინთან, ტერჩოთან. წითელმა არმიამ გვიჩვენა თავისი ძალა აქტიურ თავდაცვაში და შეტევაზე გადავიდა.

1943 წელს პირველი მაისის დღეს წითელი არმია დღესასწაულობდა თავის შესანიშნავ წარმატებას სტალინგრადთან მომხდარ დიდ ბრძოლაში. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან გაწმენდილ იქნა საბჭოთა მიწა-წყლის მნიშვნელოვანი სივრცე. სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა არმიის დამარცხება ამ არმიის მნის ჩასვენებას მოასწავებდა.

1944 წლის პირველ მაისს წითელი არმია და მთელი საბჭოთა ხალხი ახალი ისტორიული გამარჯვებებით ეგებებიან. წითელმა არმიამ უმაგალითო, თავისი ძლიერებით სულ უფრო ზრდადი შეტევით გაათავისუფლა თითქმის მთელი უკრაინა, თითქმის მთელი ყირიმი, ბელორუსიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ლენინგრადისა და კალინინის ოლქების მიწა-წყალი. წითელმა არმიამ შესანიშნავი ოსტატობა გამოიჩინა, მტერს მძიმე ზარალი მიაყენა და დიდ მანძილზე აღადგინა სსრ კავშირის დასავლეთი საზღვრები. ბრძოლები გრძელდება საბჭოთა საზღვრებს იქით, რუმინეთის ტერიტორიაზე.

გმირმა წითელმა არმიამ ყველა ეს გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა თავდადებული მხარდაჭერით. დიდია საბჭოთა ფრონტის წარმატებანი, დიდია საბჭოთა ზურგის მიღწევები! ფრონტმა და ზურგმა ერთად შეჭმენეს ის მძლავრი ძალა, რომელიც თავს დაატყდა საზიზღარ ფაშისტ მხეცს. მშრომელთა საბრძოლო ძალების საპირველმაისო დათვალიერებას საბჭოთა ხალხი გაზრდილი, ბრძოლებში განმტკიცებული სიმძლავრით ეგებება.

მნიშვნელოვანია საბჭოთა იარაღისა და საბჭოთა შრომის წარმატებანი. მაგრამ ომი გრძელდება. ფაშისტი მხეცი სერიოზულად არის დაჭრილი, სისხლისაგან იცლება, მაგრამ იგი კიდევ ცოცხლობს, წინააღმდეგობას ეწევა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი რაზმავენ მშრომელებს დაუღალავი ბრძოლისათვის. ისინი სახავენ ამოცანებს, რომლებიც ომში უნდა დადაჭრას, რათა ეს ომი სრული გამარჯვებით დავამთავროთ.

რა წინააღმდეგობასაც უნდა სწევდეს მტერი, იგი სუსტდება ბრძოლაში. მის წინააღმდეგ გაერთიანდენ მსოფლიოს უძლიერესი ხალხები. წითელი არმია დევნის გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს საბჭოთა მიწა-წყლიდან და ანადგურებს მტრის საბრძოლო ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. ჩვენმა გამარჯვებებმა ხელსაყრელი ვითარება შეჰქმნეს გადამწყვეტი დარტყმისათვის არა მარტო აღმოსავლეთიდან, არამედ დასავლეთიდანაც და სამხრეთიდანაც.

1 მაისის დღეს ჩვენი ქვეყანა მიეალმება ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის სამხედრო კავშირს, მზესალმება მის მომავალ გამარჯვებას ალეუტიანთა, უბოროტეს მტრებზე — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე. საბჭოთა ხალხი თავის საბრძოლო სალამს უძღვნის ინგლის-ამერიკის ავიაციის სახელოვან მფრინაველებს და დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მამაც მეზღვაურებს რომლებიც ურტყამენ საერთო მტერს.

ჩვენთან ერთად ერთან გერმანელების მიერ დაჩაგრული ევროპის ხალხები. პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, საბერძნეთში, საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, დანიაში, ნორვეგიაში სულ უფრო მტკიცდება და ფართოვდება პატრიოტთა განმთავისუფლებელი ბრძოლა. მამაც პატრიოტებს საბჭოთა ქვეყანა უთვლის ძმურ სალამს. იუგოსლავიის გმირი ხალხის ბრძოლა თავისი სამშობლოს განთავისუფლებისათვის მაგალითს აძლევს ევროპის ყველა დამონებულ ხალხს.

ჰიტლერელი ავაზაკები განსაკუთრებული სიძულვილით სდევნიან და სპობენ სლავებს. ამაში სჩანს მათი პირუტყვული შიში თავისუფლებისმოყვარე სლავ ხალხთა წინაშე. წითელი არმია აღფრთოვანებს მათ ბრძოლისათვის. იგი მშობლიური არმიაა სლავებისათვის.

ომმა სიყვარულით, ჯანმრთელი სიამაყის გრძნობით მიესალმება საბჭოთა ხალხი საპირველმაისო დღესასწაულზე წითელ არმიას. მისადმი არის მიმართული ლენინ-სტალინის პარტიის მოწოდება:

— წითელი არმიის მეომრებო! დაუღალავად სრულყავით თქვენი საბრძოლო ოსტატობა, მთლიანად გამოიყენეთ ჩვენი შესანიშნავი საბრძოლო ტექნიკა, ურტყით მტრის ჯარებს მათ სრულ განადგურებამდე!

ჯარების სხვადასხვა გვარეობისადმი მიმართული მოწოდებანი გამსჭვალული არიან ერთიანი შემტევი სულისკვეთებით. ისინი მძლავრი არმიის სრულ სურათს გვიხატავენ, არმიისა, რომელიც სდევნის და სპობს მტერს. ისინი მოითხოვენ მეომრებისაგან გამბედაობასა და ოლმობლობას, თავდადებასა და მაღალ წვრთნას. ისინი გვიჩვენებენ წითელ არმიას მისი ნაწილების თანამოქმედებაში, ძლევამოსილ წინსვლაში. ისინი აღვიგებენ ახალ აღმავლობას სამშობლოს გმირ დამცველებში.

სამშობლოს საბელით ბოლშევიკების პარტია მოუწოდებს ქვეითებს — განაგითარონ შეტევის წარმატება, სდევნონ, ანადგურონ მოწინააღმდეგის ჯარები, გარს შემოერტყან და ალიტონ გერმანელი დამპყრობნი. ჩვენი ქვეყანა მოუწოდებს წითელი არმიის არტილერისტებსა და ნაღმმტყორცნელებს — ამსხვრიონ მტრის თავდაცვა; ტანკისტებს—შეიჭრან მტრის ზურგში, მოუჭრან უკანდახევის გზები; მფრინაველებს — ალიტონ მტერი ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე; წითელფლოტელებს და ფლოტის ოფიცრებს — ძლიერად ურტყან მტრის საზღვაო კომუნიკაციებს; კავალერისტებს — სწრაფად სდევნონ მტერი, შემოერტყან მის ფლანგებს, მოახდინონ გაბედული რეიდები; მზვერაველებს — დროულად გამოამეღავნონ მტრის ძალების დაჯგუფება; მეკავშირეებს—ეზრუნველჰყონ კარგი კავშირგაბმულობით საბრძოლო ოპერაციების წარმატება; სანიტრონი ჯარების მებრძოლებსა და მეთაურებს — დაეხმარონ ჩვენს ჯარებს მტრის სიმაგრეთა იერიშში, მდინარეების გადალახვაში, დანაღმული ველების დაძლევაში; მედიცინის მუშაკებს — თავდადებით იბრძოლონ საბჭოთა დაჭრილი მეომრების სიცოცხლის გადასარჩენად და მწყობრში მათ დასაბრუნებლად.

წითელი არმიის საჯარისო ზურგში საპასუხისმგებლო და საპატიო სამუშაოს ასრულებენ მეავტომობილენი და საგზაო მუშაკები. მათზეა დამოკიდებული წითელი არმიის შეუფერხებელი მომარაგება, ჩვენი ჯარების წარმატებითი შეტევა.

წითელი არმიის გამარჯვებებში თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მამაც პარტიზანებს. განთავისუფლებულია მათი გმირობით საბელგანთქმული მრავალი ადგილი. მაგრამ წყეული გერმანული მონობაში ჯერ კიდევ გმანავენ ჩვენი სოფლები და ქალაქები უკრაინაში, ბელორუსიაში, საბჭოთა ბალტიისპირეთში. ჯერ კიდევ უდიდესი ამოცანები დგას საბჭოთა პარტიზანების წინაშე. და 1 მაისის დღეს მათთან არის საბჭოთა ადამიანების ფიქრები და გულითადი გრძნობები.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ომის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა ფრონტი და საბჭოთა ზურგი ერთიან და განუყოფელ საბრძოლო ბანაკს შეადგენენ. ამან შესაძლებლობა მისცა ჩვენს ხალხს დაეძლია ომიანობის დროის უსაგლეთო სიძნელენი.

წითელი არმია თავდადებულად ურტყამს მტერს, იცის რა, რომ ჩვენი ქვეყანა ზურგსაკენ მეომართა ოჯახებისათვის. ფრონტელთა ოჯახებისადმი ყურადღება ყველა საბჭოთა პატრიოტის წმიდა მოვალეობაა.

საბჭოთა ზურგის მთელი ცხოვრება ერთი აზრით არის გამსჭვალული:

— ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი რაზმავენ მუშებს, ინჟინრებს და ტექნიკოსებს ყოველივე იმის წარმოების განუწყვეტელი გადიდებისათვის, რაც სჭირდება წითელ არმიას მტრის სრული განადგურებისათვის. უფრო მეტი საჭურველი და სულ უფრო მაღალი ხარისხისა! მეტი საომარი მასალა! სატანკო ქარხნების მუშაკებო — რაც უფრო მეტია კარგი ტანკი, მით უფრო ახლოა მტერზე გამარჯვების ჟამი!

ლენინ-სტალინის პარტია ხალხის საზიარით მოუწოდებს საავიაციო ქარხნების მუშაკებს — მოგვცენ კიდევ მეტი თვითმფრინაველები, დაუფალავად აუმჯობესონ ისინი; ნავთის პრეწველობის მუშაკებს — გაადიდონ საწვავის რაოდენობა; ქვანახშირის მრეწველობის მუშაკებს — მოგვცენ მეტი სათბობი; მეტალურგებს — გააძლიერონ ლითონის გამოდნობა; მოტორმშენებლებს — გააფართოონ მოტორების წარმოება, გაადიდონ მათი სიმძლავრე, ახსოვდეთ, რომ თანამედროვე ომი მოტორების ომია; დაზგათმშენებლებს—გაზარდონ დაზგების გამოშვება — ჩვენი ქვეყნის ტექნიკური შეიარაღების უმნიშვნელოვანესი ბაზა; ელექტროსადგურების მუშაკებს — სწრაფად აღადგინონ გერმანელების მიერ დანგრეული ელექტროსადგურები, ზარდონ ენერგეტიკული სიმძლავრენი.

საბჭოთა სახალხო მეურნეობამ სამამულო ომში გვიჩვენა სოციალისტური წყობილების მთელი სიმძლავრე. ჩვენს მრეწველობას შეაძლებლობა აქვს მოემსახუროს ფრონტისა და მოსახლეობის საჭიროებას. ხალხი მოუწოდებს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის, მშრომელებს — გააძლიერონ წითელი არმიისათვის ტანსაცმლისა და მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საქონლის წარმოება; ადგილობრივი მრეწველობის მუშაკებს — მეტი ინიციატივა გამოიჩინონ ადგილობრივი რესურსების გამოყენებაში მოსახლეობისა და წითელი არმიისათვის; კვების მრეწველობის მუშაკებს — გაადიდონ კვების პროდუქტების წარმოება არმიისა და მოსახლეობისათვის.

საბჭოთა რკინიგზელები და სამდინარო და საზღვაო ფლოტის მუშაკები კარგად ასრულებენ თავიანთ პასუხსაგებ საქმეს. ჩვენი ქვეყანა მოუწოდებს მათ კიდევ უფრო სწრაფად აღადგინონ გზები და მიმოსვლის საშუალებანი, უზრუნველჰყონ ჯარების, სამხედრო და სახალხო სამეურნეო ტვირთების კიდევ უფრო სწრაფი მოძრაობა.

სამამულო ომში საბჭოთა გლეხობამ სოფლის ისტორიაში საერთო-სახალხო ინტერესების უმაგალითო მაღალი შეგნება გამოიჩინა. მან გულმოდგინე პატრიოტული შრომით უზრუნველჰყო ფრონტისა და ზურგის მომარაგება სურსათითა და ნედლეულით. მთელი ქვეყანა რწმენითა და იმედით უცქერის კოლმეურნეებს. იგი მიესალმება მათ და მოუწოდებს კიდევ უფრო დაუღალავი შრომისაკენ:

— კოლმეურნეებო, აგრონომებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო! სანამუშოდ ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, უზრუნველვყოთ მაღალი აგროტექნიკა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში! მივაღწიოთ მაღალ მოსავლიანობას, გავზარდოთ მარცვლეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავალი! მეტი სურსათი მივცეთ ფრონტსა და ქვეყანას, მეტი ნედლეული — მრეწველობას. გაუმარჯოს საბჭოთა გლეხობას!

მთელ ხალხთან ერთად პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე საბჭოთა ინტელიგენცია. მისდამი არის მიმართული მოწოდება — დაეხმაროს მუშებსა და კოლმეურნეებს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომს აღმავლობაში, წინ წასწიოს საბჭოთა მეცნიერება და კულტურა.

განთავისუფლებულ რაიონებში საბჭოთა ადამიანების წინაშე დასახულია მეურნეობის, საცხოვრებელი ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა უაღრესად სწრაფად აღდგენის და მათი განმთავისუფლებელი წითელი არმიისადმი დახმარების გაფართოების ამოცანა.

სამამულო ომმა გვიჩვენა, საბჭოთა ხალხის რა შესანიშნავ ძალას წარმოადგენენ მისი ქალები, მისი ახალგაზრდობა. მათ წინაშე დგას ამოცანა — სულ უფრო მეტად, უფრო ფართოდ დაეუფლონ წარმოების ტექნიკას, განამტკიცონ საპაერო და ქიმიური თავდაცვის საქმე, იყვნენ თავდაცვის საიმედო დასაყრდენი საბჭოთა ზურგში.

მშრომელთა საბრძოლო ძალების საპირველმაისო დათვალიერების დღეს საბჭოთა კავშირი დგას მსოფლიოს წინაშე, როგორც უძლეველი სიმაგრე. საბჭოთა სახელმწიფომ ომის მეაცრ გამოცდას გაუძლო. საბჭოთა წყობილება ყველაზე უფრო მტკიცე აღმოჩნდა. საბჭოთა ხალხის ერთიანობამ დაამსხვრია გერმანიის ფაშიზმის სისხლიანი ბინძური ზეირთი. საბჭოთა ხალხის ერთგულება თავისი სახელმწიფოსადმი, რომელიც ბრძოლასა და შრომაში წარმოიშვა, ერთგულება თავისი საბჭოთა მთავრობისადმი, მეგობრობა, რომელმაც ძმური კავშირით შეადუღლა საბჭოთა კავშირის ხალხები—ძლიერების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს.

—გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა კავშირს, ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის, ბედნიერებისა და დიდების საიმედო დასაყრდენს! გაუმარჯოს საბჭოთა სამშობლოს!

— გაუმარჯოს ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

საკავშირო კომუნისტურმა პარტიამ ბოლშევიკებისა, ლენინ-სტალინის პარტიამ, აღზარდა საბჭოთა ხალხი, გამოზარდა მისი უშიშარი შვილები, დასაბა ჩვენი სახელმწიფოს განვითარების სწორი გზა, გამოსჭედა მისი ძლიერება, გააერთიანა ხალხის ყველა ძალები მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლშევიკების პარტია, დიდი სტალინი ხელმძღვანელობენ საბჭოთა ხალხს და მიჰყავთ იგი ლენინ-სტალინის დროშით გამარჯვებებიდან გამარჯვებისაკენ. ბოლშევიკების პარტია, დიდი სტალინი, ჩვენი ბელადი, წითელი არმიის მზეცდართმთავარი, ნიჭიერი საბჭოთა გენერლების მასწავლებელი, მოუწოდებენ საბჭოთა ხალხს — არ დასჯერდეს მიღწეულს, არ გამედიდურდეს, არამედ ფხიზლად იცქიროს წინ და ერთი გამარჯვებიდან მწვერვალზე იმზადოს შემდგომი გამარჯვებისათვის — მტრის სრულ განადგურებამდე! ლენინ-სტალინის პარტია მოუწოდებს კომუნისტებსა და „კომკავშირელებს — ლენინ-ბერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში.

— გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას — გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებისათვის ბრძოლის შთამაგონებელსა და ორგანიზატორს!

— ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით წინ, გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად და ჩვენი სამშობლოს ფარგლებიდან მათ განსადევნად!

„პრავდის“ 28 აპრილის მოწინავე.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 აპრილის ოპერატიული ცნობიდან

27 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

26 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 65 ტანკი, საპაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 22 თვითმფრინავი.

28 აპრილის ოპერატიული ცნობა

28 აპრილის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

27 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 22 ტანკი. საპაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 29 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაციის მასირებული თავდასხმა ლვოვის რკინიგზის კვანძზე

27 აპრილს ღამით ჩვენმა შორი მოქმედების ავიაციამ მასირებული თავდასხმა მოახდინა ლვოვის რკინიგზის კვანძზე და დაბომბა მოწინააღმდეგის თავმოყრილი სამხედრო ეშელონები. დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძზე ბევრი ხანძარი გაჩნდა, რომლებსაც ჩვენმა მფრინავებმა მოახდინეს მოწინააღმდეგის აეროდრომის ბლოკირება ქალაქ ლვოვის რაიონში. ტყვიამფრქვევისა და ზარბაზნის სროლა ავუტეხეთ გერმანელთა ავტომანქანების კოლონებს ლვოვში შემავალ გზებზე.

* * *

მოწინააღმდეგის აეროდრომის დაბომბვა ქალაქ ორშის რაიონში

27 აპრილს ღამით ჩვენმა ავიაციამ დაბომბა მოწინააღმდეგის აეროდრომი, რომელიც ქალაქ ორშის რაიონში მდებარეობს. თავდასხმის მომენტში აეროდრომზე გერმანელთა ბევრი თვითმფრინავი იყო. დაბომბვით შექმნილია ხანძრის 15 დიდი კერა. აწვოდა მოწინააღმდეგის თვითმფრინავები, საწვავისა და საომარი მასალის საწყობები. ხანძრების კერებში რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა. ჩვენი მფრინავები, სამიზნოდან, რომ ბრუნდებოდნენ, ხანძრებს ხედავდნენ ასზე მეტი კილომეტრიდან.

* * *

ქალაქ სტანისლავის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელთა და უნგრელთა ჯარებმა რამდენიმე იერიში მოიტანეს. ჩვენი ნაწილები საარტილერიო და სანაღმტყორცნო ცეცხლით შეხვდნენ მოწინააღმდეგს. ჰიტლერელებმა დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 800-ზე მეტი გვამი და 10 დაზიანებული ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ამს. ბოიცოვის მეთაურობით მარჯვე შემოვლითი მანევრის შედეგად გაანადგურეს მოწინააღმდეგის დასაყრდენი პუნქტის გარნიზონი. მოსპობილია ორი ასეული ჰიტლერელი. ხელთ ვიგდეთ 12 სველე და 2 თვითმავალი ქვემეხი, 40 ავტომანქანა საომარ მასალიანად და სამხედრო ქონებიანად, ტყვედ წამოყვანილია 400 უნგრელი ჯარისკაცი. ტყვედ წამოყვანილმა უნგრელმა ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ამ დღეებში მათ ყარი სთქვეს გადმოსულიყვნენ იერიშზე. მაშინ უნგრელთა ნაწილებს უკან დაუყენეს გერმანელ მეტყვიამფრქვევითა და მეავტომატეთა სპეციალური რაზმები.

* * *

უკრაინის 1-ლ ფრონტზე ჩვენი ავიაცია კვლავ ურტყამდა მოწინააღმდეგის რკინიგზის ეშელონებს. დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა დაამსხვრიეს 3 ორთქლმავალი და 50 ვაგონი, აგრეთვე დასწვეს 3 ეშელონი საწვავიანად. დაიწვა 90-ზე მეტი ბენზინცისტერნა.

* * *

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის ავიაციამ ფინეთის ყურეში ჩასძირა მოწინააღმდეგის 6 ათასი ტონა წყალწყვის ტანკერი და ტრალერი.

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ სევასტოპოლის მისადგომებზე ჩასძირა ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი და სწრაფმავალი სადესანტო კარჩაპი. მოწინააღმდეგის ორი სხვა ტრანსპორტი სერიოზულად არის დაზიანებული.

* * *

ლვოველ პარტიზანთა ჯგუფი ღამით თავს დაესხა გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც სამხედრო საწყობებს სდარაჯობდნენ. პარტიზანებმა ხანმოკლე შეტაკებაში 20 ჰიტლერელი გაჟლიტეს, შემდეგ კი ცეცხლი წაუკიდეს მოწინააღმდეგის ორ დიდ საწყობს. ლვოველ პარტიზანთა სხვა ჯგუფმა სამ დღეში ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ორი სარკინიგზო ეშელონი. ვაგონების ნამსხვრევებქვეშ დაიღუნა 200-მდე ჰიტლერელი. მატარებლების ჭიმოსვლა ამ უბანზე შეწყვეტილი იყო ორი დღის განმავლობაში.

* * *

ყირიმში ტყვედ წამოყვანილია გერმანელთა 98-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი ჯგუფი. ტყვედ წამოყვანილმა 198-ე მესანგრე ბატალიონის მე-3 ასეულის მეთაურმა კაპიტანმა ვალტერ შტრაუსმა განაცხადა: „ვე ჩემი ასეულით რეზერვში ვიყავი. მოულოდნელად ჩვენზე იერიში მოიტანეს რუსთა ტანკებმა. რამდენიმე წუთში ჩვენი ასეული განადგურებულ იქნა“. ტყვედ წამოყვანილმა იმავე ბატალიონის 1-ლი ასეულის ლეიტენანტმა ბოშმა გვიამბოა: „ჩვენი ბატალიონი ძალიან საჩქაროდ იხევდა უკან, მაგრამ რუსთა ტანკები მაინც დაგვეწივნენ. ამავე დროს ზურგიდან პარტიზანები დაგვესხნენ. რკალში რომ მოვექეცით, იარაღი დავყარეთ. ჩვენთან ერთად ტყვედ დანებდნენ 98-ე დივიზიის 282-ე და 290-ე პოლკების ქვეგანაყოფები და გერმანელთა 73-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცთა დაჭრილი ჯგუფები“. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 198-ე საარტილერიო პოლკის ლეიტენანტმა კურტ ჭარლინდერმა განაცხადა: „რუსთა არტილერიამ მოსკო პოლკის საკომანდო პუნქტები. და ჩაახშო ჩვენი ბატარეები. შტაბებს შორის ყოველგვარი კავშირი დაირღვა. ითვითული ცდილობდა გაქცევით გადაერჩინა თავი. ყველას იცოდა, რომ ჩვენ წარმოუდგენლად გაგვიჭირდებოდა ყირიმიდან გასვლა, მაგრამ ასეთ განადგურებას არავინ მოელოდა. ყირიმში მომხდარმა კატასტროფამ გამოააშკარავა გერმანელთა სარდლობის სტრატეგიის სრული ჩაფუშვა“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი გერმანელი ფაშისტი არამზადების მიერ მოგილიოვის ოლქის დაბა გორში ჩადენილ მხეცობათა შესახებ: „ჰიტლერელებმა დაბა გორში დასწვეს 243 საცხოვრებელი სახლი, საშუალო სკოლა, კულტურის სახლი და ბიბლიოთეკა. ოკუპაციის განმავლობაში გერმანელმა ავაზაკებმა რამდენიმე ასეული მშვიდობიანი მცხოვრები დახოცეს. მარტო ერთ დღეს ფაშისტმა ჯალათებმა სელის ქარხნის რაიონში 200-მდე საბჭოთა მოქალაქე დახვრიტეს. გერმანელებს სრულიად უდანაშაულო და უმეწეო ადამიანები ვეებერთელა ორმოს პირას მიჰყავდათ, აიძულებდნენ თავდაღმა დაწოლილიყვნენ და ტყვიამფრქვევებით ხვრეტდნენ. კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი სამედიცინო სამსახურის კაპიტანი მაკაროვი, უფროსი ლეიტენანტი ჩუმაკოვი და ექიმები დენდიბეროვი და კობზევა, გასწინა ერთი მასობრივი საფლავი. ამ საფლავში აღმოჩნდა გერმანელი მტარვალების მიერ დახვრეტილ მოხუცთა, ქალთა და ბავშვთა 150-მდე გვამი“.

აქტს ხელს აწერენ: პარტიზანული რაზმის მეთაური ნ. კოზოკი, გორკის რაიონმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ტარასენკო, მასწავლებლები ა. ერენბურგი, მ. დილენოკი და ე. პავლიუჩკოვა.

ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკიდან ჩამოსული სტანისლავ ორლემანსკი

გუშინ, 28 აპრილს, სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ღირსპატივსაცემი სტანისლავ ორლემანსკი, რომელიც ჩამოვიდა ქალაქ სპრინგფილდიდან (ა. შ. შტატების მასაჩუზეტსის შტატი) სსრ კავშირში მყოფი პოლონელებისა და პოლონეთის არმიის მდგომარეობის შესასწავლად.

მიღებას დაესწრო ვ. მ. მოლოტოვი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საბჭოთა კავშირის გმირის გვარდიის პოდპოლკოვნიკ ი. ნ. ბოიკოს „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, რაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მიღების უფლებას იძლევა, — დაჯილდოებულ იქნას საბჭოთა კავშირის გმირი გვარდიის პოდპოლკოვნიკი ივანე ნიკიფორეს-ძე ბოიკო „ოქროს ვარსკვლავის“ მეორე მედლით, აგებულ იქნას მისი ბრინჯაოს ბიუსტი და დაიდგას კვარცხლბეკზე დაჯილდოებულის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 26 აპრილი.

სსრ კავშირში ჩამოვიდა ინლანდიის დესპანი ბ-ნი ჯ. ბენედიქტსონი

27 აპრილს მოსკოვში ჩამოვიდა ისლანდიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი პიეტურ ბენედიქტსონი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ლ. კომაროვი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ლ. კომაროვმა მეუღლე ნადეჟდა ვიქტორის-ასულთან ერთად 27 აპრილს დათვალიერა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი.

ვ. ლ. კომაროვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების აკადემიკოსების ს. ჯანაშიას და ნ. კეტოველის და აკადემიის პრეზიდიუმის სწავლული მდივნის ვ. მაკავარიანის თანხლებით გაეცნო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების იშვიათ ექსპონატებს—„ვეფხის ტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერებს, IX და XI საუკუნის ხელნაწერებსა და დოკუმენტებს. შემდეგ ვ. ლ. კომაროვმა დათვალიერა მცხეთა-არმაზსა და თრიალეთში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ძვირფასი ექსპონატები, რამაც პრეზიდენტზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ვ. ლ. კომაროვმა მუზეუმის დირექტორს ა. აფაქიძეს მოუოლიცა საქართველოს მცოცავლსაუკუნოვანი მაღალი კულტურის დამადასტურებელი ექსპონატებით მუზეუმის შევსება და მსახველთა წიგნში შემდეგი ჩაწერა:

„მცხეთა-არმაზის გათხრებმა საქართველოს ცენტრალურ აეროდრომზე ‘ ბ-ნ პ. ბენედიქტსონს შეეხვდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამბ. ფ. ფ. მოლოჩკოვი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ლ. კომაროვი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

ჩვენს წინაშე ისტორია გაიცოცხლდა, დიდება თქვენ, არქეოლოგიის მუშაკებო!

ადგილი არ არის გათხრების წარმოება, მაგრამ რა სასიხარულოა ეპოვნო ის, რაც 1.500 წელია მიწაში იყო დაფარული.

გაუმარჯოს საქართველოსა და ქართველებს, რომლებსაც ბრწყინვალე, სახელოვანი წარსული აქვთ!

დე გაიფურჩქნოს და გაიზარდოს საბჭოთა საქართველო!“

27 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. ლ. კომაროვმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ნ. ნ. კეტოველის თანხლებით დათვალიერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ინსტიტუტი და გაიცნო მისი მუშაობა.

* * *

ღამით 27 აპრილს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ლ. კომაროვი მეუღლის ნადეჟდა ვიქტორის-ასულის, პრეზიდენტის თანაშემწის ა. გ. ჩერნოვის და პრეზიდენტის რეფერენტის ბ. ა. შპაროს თანხლებით ერევანს გაემგზავრა.

საკადესი უარკყოფს

ამერიკის სააგენტოს „ინტერნეიშენელ ნიუს სერვისის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, ფინეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში პროკოპემ კორესპონდენტთან საუბრის ღროს კითხვაზე, პასუხისმგებელია თუ არა ფინეთი საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკების შეწყვეტისათვის, განაცხადა, რომ სსრ კავშირმა შესწყვიტა მოლაპარაკება 22 აპრილს, რომ სსრ კავშირმა თითქოს უარყო წინადადება რაიმე ცვლილებათ

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. მესხი საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ ესაუბრება ქარხნის საამქროს უფროსებსა და აგიტატორებს. ფოტო რ. აკოფოვისა

სოციალისტური შეჯიბრების XV წლისთავი

სვალინელები დაპირებას ასრულებენ

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მოწინავე ადამიანები ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ სოციალისტური შეჯიბრების სახელოვან XV წლისთავს.

საპირველმაისო შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ქარხნის საქვაბე საამქრო (უფროსი ამხ. კ. კანუკოვი, პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. მაისურაძე), რომელმაც ვალდებულება 25 აპრილისათვის შეასრულა. ამასთან საამქროს მუშებმა იკისრეს პირველი მაისისათვის გეგმის გადამეტებით შეაკეთონ 3 საორთქლმავლო ქვაბი.

ყოველდღიური საწარმოო გეგმების შესრულებაში თავი ისახელა ამხ. შ. ხარაბაძის კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელმაც 7 საორთქლმავლო ქვაბი შეაკეთა. სტახანოველი ზეინკლები შ. შავერზაშვილი, გ. დაბრუნდაშვილი, ხარატები ა. სოხაძე და გ. პავლიაშვილი გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს 200-300 პროცენტით ასრულებენ.

შრომითი მამაცობის შესანიშნავ ნიმუშებს გვიჩვენებს ორთქლმავლების ამწყობი საამქროს ზეინკალი გ. ია შვილი. იგი სისტემატურად იძლევა გამომუშავების 2-3 ნორმას. ამხ. იაშვილმა 25 აპრილს დღიური გამომუშავების საქარხნო რეკორდი დაამყარა და დაავალება 1.450 პროცენტით შეასრულა. ვალდებულებათა გასანაღდებლად, საუკეთესოდ მუშაობენ აგრეთვე ზეინკლები ვ. ოდიშერაშვილი, გ. ქვათაძე, გ. მემარნიშვილი, შ. ცხვედაძე და ს. ლეკი.

კარგ მაჩვენებლებს გვაძლევს საელმავლო საამქრო (უფროსი ამხ. ვლ. გოცირიძე, პარტბიუროს მდივანი ამხ. მ. კუპრავა). ამ საამქროს ზეინკლათა ფრონტულ ბრიგადაში, რომელსაც ა. უსახიტაშვილი ხელმძღვანელობს, 5 მუშის ნაცვლად 2 მუშა მუშაობს და ყოველდღიური საწარმოო გეგმა მაინც 200 პროცენტით სრულდება.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის ფრონტული თავდადებით მუშაობს ა. მარჯანიძის ფრონტული ბრიგადა. ამ ბრიგადამ 24 და 25 აპრილს 77 საათში შესასრულებელი სამუშაო 18 საათში შეასრულა. ბრიგადა დღიურ დავალებებს სისტემატურად ასრულებს 300 პროცენტით.

მონინავე ქარხნის მოწინავე საამქროები

ახალი საწარმოო გამარჯვება ჰოიპოვა თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა. პირველი კვარტალის დავალება ქარხანამ 102,7 პროცენტით შეასრულა. მეორე კვარტალში საწარმოო აღმავლობას ხელი შეუწყო საამქროებსა და ბრიგადებს შორის ეაჩაღებულმა საპირველმაისო სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

დაწინაურდა ელექტროტექნიკური საამქრო (უფროსი ინჟინერი გრ. ჰაპავა), რომელმაც საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულებანი 27 აპრილისათვის შეასრულა.

საამქროს ფრონტულ ბრიგადებს შორის საპირველმაისო შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ზეინკალთა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ი. სიმონოვსკი ხელმძღვანელობს. აპრილის განმავლობაში ბრიგადა ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებდა.

საპირველმაისო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში დაწინაურდა აგრეთვე მექანიკური საამქრო, რომელსაც კომუნისტი ინჟინერი ამხ. გოგიშვილი ხელმძღვანელობს. ამ საამქროს კოლექტივმა საპირველმაისოდ აღებული ვალდებულებები დათქმულ ვადაზე—27 აპრილისათვის შეასრულა. გარდა ამისა, მან წარმოებაში ახალ-მოსული 5 კაცი კვალიფიციურ ზეინკლებად მოამზადა.

გ. ხენგასავა.

ჯილდო კარგი მუშაობისათვის

თბილისის რკინიგზის კვანძის ვეხუთე სავაგონო უბნის კოლექტივს (უფროსი ამხ. ძიძიკური, პარტბიუროს მდივანი ამხ. გოგლიძე), მარტში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისა მოპოვებისათვის, გზათა სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა. გზათა სახალხო კომისარმა ამხ. ლ. კაგანოვიჩმა დეპეშით მიულოცა სავაგონო უბნის კოლექტივს საწარმოო მიღწევა და შესაბამი წარმატებანი უსურვა მუშაობაში.

მაღალი ჯილდოს პასუხად უბნის კოლექტივმა გააძლიერა მუშაობა საპირველმაისო ვალდებულებათა შესასრულებლად. უბნის კოლექტივმა აპრილის საწარმოო დავალებანი დიდი გადაჭარბებით შეასრულა. სოციალისტურ შეჯიბრებაში აქ თავი ისახელეს სტახანოველებმა—ზეინკალმა დ. კუსრაძემ და მღებავმა გ. ფაშალიშვილმა.

სოციალისტური შეჯიბრების ძალა

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ („კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან). ყანდაურის კოლმეურნეობა „ვლეხის მარჯვენაში“ (თავმჯდომარე ორდენოსანი შ. ფხალაძე) შეჯიბრებამ ბევრი კოლმეურნე, რგოლი და ბრიგადა დააწინაურა; ამან გავლენა იქონია საერთო გეგმების შესრულებაზე. კოლმეურნეობამ სიმინდის თესვა ვადაზე 5 დღით ადრე—15 აპრილს დაამთავრა. 175 ჰექტარის ნაცვლად დასთესა 200 ჰექტარი. შვრიის, ფეტვის, ბოსტნეულის, ხორბლის თესვის გეგმები შესრულებულია ვადამდე, ხოლო მზესუმზირას თესვის გეგმა—გადაჭარბებით. საგაზაფხულო კულტურები სულ გეგმით უნდა დათესათ 503 ჰექტარი, დასთესეს 525 ჰექტარი.

მეცხვარეობის ფერმამ (გამგე ორდენოსანი ს. ჯავახიშვილი) ვალდებულება პირნათლად შეასრულა. მას ამჟამად ნამატიანად ჰყავს 9.000 სული ცხვარი. 2.800 დედაცხვარზე მიღებულია 2.860 ნამატი. ბატკნების მოვლა კარგად მოაწყეს ნ. ხარებაშვილმა და ვ. არაქელოვმა. დოლი კარგად ჩატარდა, განსაკუთრებით მეცხვარეობის მეორე ბრიგადაში (ბრიგადირი კ. არაქელოვი). მან მიღებული ტყუპი ნამატები მთლიანად შეინარჩუნა. ეს მიღწეულია ამოცდილი მეცხვარეების — 75 წლის ნ. ჯავახიშვილის, 70 წლის ა. აბესაძის, შ. გამყრელიძის, ლ. აბესაძის, გ. გიორგაშვილის ბეჯითი მუშაობით.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მესამე, მეოთხე და მეშვიდე ბრიგადები.

სოფელ კაპრეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობას ვალდებულებით საგაზაფხულო კულტურების თესვა 25 აპრილისათვის უნდა დაემთავრებინა. მან კი 21 აპრილს დაამთავრა. მსხვილფეხა რქიანი საქონლის 1944 წლის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა სახეების მიხედვით. 1944 წლის ბოლოსთვის ცხვარი და თხა გეგმით უნდა ჰყავდეს 800 სული, ამჟამად უკვე ჰყავს 950 სული ცხვარი და თხა. ნამატიც მთლიანად შენარჩუნებულია.

ასეთი წარმატებებით ხვდებიან კოლმეურნეები სოციალისტური შეჯიბრების სახელოვან XV წლისთავს!

ნ. ჯანჯღავა.

ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ ინგლისის ბომბდამშენთა მეტად დიდი შენაერთები 26 აპრილს ღამით თავს დაესხნენ გერმანიასა და ოკუპირებულ ტერიტორიას. თავდასხმის მთავარი ობიექტი იყო ესენი.

26 აპრილს დილით და საღამოს მოკავშირეთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ სამხედრო ობიექტებს საფრანგეთსა და ბელგიაში.

ინგლისის ავიაციის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ 26 აპრილს ღამით ესენსა, შვაინფურტსა და ვილნევ-სენ-ჟორჟზე პარიზის მახლობლად თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა ინგლისის 1.000-ზე მეტი ბომბდამშენი. განსაკუთრებით გააფთრებული იყო შვაინფურტზე თავდასხმა. „მოსკიტოს“ მარკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ჰამბურგს.

ოპერაციების ევროპის ასპარეზზე მოქმედი ამერიკელთა შეიარაღებული ძალების შტაბი იუწყება, რომ ამერიკის ავიაცია 26 აპრილს თავს დაესხა სამრეწველო ობიექტებს ბრაუნშვაიგის რაიონში, ამასთან არც ერთი ბომბდამშენი არ დაუკარგავს და არც გერმანიის ავიაგამანადგურებლებს შეხვედრია.

მდგომარეობა დანიაში

ᲒᲔᲢᲔᲑᲝᲠ�გᲘ, 26 აპრილი (საკდესი). უკანასკნელ დღეებში დანია თითქმის სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანას: სდუუს დანიის რადიო, რომელსაც კონტროლს უწევენ გერმანელები. დანიის საფოსტო, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი შვეციასთან ფაქტიურად არ არსებობს. სამგზავრო მიმოსვლა შეწყვეტილია. იმის შიშით, რომ ცნობები შეაღწევენ შვეციაში, გერმანიის სამხედრო ხელისუფლებმა კატეგორიულად აუკრძალეს შვეციის ბორნის მომსახურე პერსონალს, რომელიც მალმედან მოვიდა და 24 აპრილს კოპენჰაგენში იმყოფებოდა, ნაპირზე გადმოსულიყო, ხოლო გერმანიისა და დანიის პოლიციის წარმომადგენლებს აუკრძალეს ბორანზე ასვლა.

საგანგებო წესები დანიაში

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 აპრილი (საკდესი). რეიტერის საგენტოს სტოკჰოლმელი კორესპონდენტი ტომას ჰარისი გადმოგვცემს დანიის პრესპიუროს ცნობას, რომ საბოტაჟის ახალი აქტების შედეგად, რომლებიც გუშინ ღამით მოხდა, გერმანიის სამხედრო ხელისუფლებმა ჰთელს დანიაში საგანგებო წესები შემოიღეს. კოპენჰაგენის ქუჩებში გერმანელი ჯარისკაცები პატრულობენ. მათს დასახმარებლად გამოყოფილია ტანკები. დედაქალაქის სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში დადგმულია ტყვიამფრქვევები. ზოგ ადგილს სროლა ხდებოდა.

სტოკჰოლმის გაზეთი „აფტონბლადეტი“ იმოწმებს საქმის კარგად გაცნობილ წყაროებს და იუწყება, რომ გერმანელებმა დანიის იზოლაცია დაახლოებით ერთი კვირის წინათ გადასწყვეტეს.

ᲐᲜᲒᲚᲘᲡᲬᲘᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲤᲘᲪᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲝᲭᲐᲟᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲖᲕᲘᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 აპრილი (საკდესი). ლონდონის რადიო გადმოგვცემს თავისი სტოკჰოლმელი კორესპონდენტის ცნობას, რომ დანიაში დაიწყო ანტიგერმანული გამოსვლების ახალი მძლავრი აზვირთება. კვირას ღამით კოპენჰაგენის სხვადასხვა ნაწილებში 60-მდე აფეთქება მოხდა. ქალაქის ცენტრში ჩადენილ იქნა დივერსიის 20 აქტი. გამოიწვიეს გერმანელთა ჯარები. გერმანელთა ჯარების რაზმი გარს შემოერტყა ერთს ექსსართულიან შენობას და ააფეთქა იგი.

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ, 27 აპრილი (საკდესი). გერმანიის რადიომ გადასცა დანიაში მყოფი ჰიტლერელი რწმუნებულის ბესტის განცხადება, რომ „არალეგალური ელემენტები დანიაში კვლავ საფრთხეს უქმნიან გერმანიის ინტერესებს“. ბესტმა განაცხადა, რომ თავს ესხმიან გერმანიის სამხედრო მოსამსახურეებს, ხოლო „დივერსანტები არღვევენ გერმანიის სამხედრო ხელმძღვანელობის ინტერესებს“. დანიელი პატრიოტების მოქმედებისათვის სამაგიეროს გადასახდელად ბესტი მძევლების მასობრივი დახვრეტით იმუქრებოდა.

ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 26 აპრილი (საკდესი). უორგრიგ რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა თემთა პალატაში უპასუხა შეკითხვებს და სთქვა:

„იმ იმედით, რომ ბოლო ᲗᲮᲣᲚᲘᲡ პოლიტიკურ უთანხმოებას, საბერძნეთის მეფემ უკვე განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს შეჰქმნას რაც შეიძლება უფრო წარმომადგენლობითი მთავრობა, რომელიც შედგენილი იქნება ყველა სახის პატრიოტული საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენლებისაგან, მხოლოდ იმათი გამოკლებით, ვინც მტერთან თანამშრომლობს თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ. ინგლისის მთავრობა, სავსებით ეთანხმება ამ პოლიტიკას და ყოველგვარ შესაძლო დახმარებას აღმოუჩენს საბერძნეთის მეფეს მის განხორციელებაში“.

ლეიბორისტ პარკერის კითხვაზე, გააკეთებს თუ არა პრემიერ-მინისტრი ყოველივე შესაძლებელს იმისათვის, რომ ეს მთავრობა ყველაზე უფრო სრული გამომხატველი იყოს ბერძენი ხალხის ინტერესებისა, რომელიც ამჟამად მტრის წინააღმდეგ იბრძვის, და დაარწმუნებს თუ არა იგი ბერძენ ხალხს, რომ არ შეეცდებიან თავს მოახვიონ მას მისი სურვილის წინააღმდეგ მეფე გეორგი, ჩერჩილმა უპასუხა: „საბერძნეთის მომავლის შესახებ არაერთგზის იყო განცხადებული, რომ ჩვენ არავითარი სახით არ ჩავერევით ბერძენი ხალხის გადაწყვეტილებაში, როგორც კი ნორმალური პირობები სავსებით იქნება აღდგენილი“.

ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 აპრილი (საკდესი). რეიტერის საგენტო კაიროდან გადმოგვცემს, რომ 26 აპრილს საღამოს გადადგა საბერძნეთის მთავრობა, რომელსაც სოფოკლეს ვენიზელოსი მეთაურობდა. მეფემ პაპანდრეუს მიანდო ახალი მთავრობის შედგენა.

ᲐᲜᲙᲐᲠᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲡᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 27 აპრილი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, დღეს ლონდონში დადასტურდა, რომ ანკარაში ჩავიდა ინგლისის სამხედრო მისია, რომელმაც განაახლა მოლაპარაკება თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებთან. ინგლის-თურქეთის სამხედრო მოლაპარაკების ეს განახლება დაეთხვა თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებას—შესწყვიტოს ქრომის მიწოდება გერმანიისათვის.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲣᲚᲡᲐᲙᲘᲡᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲜᲘ, 24 აპრილი (საკდესი). ა. შ. შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა სტოკჰოლმში თავიანთ მთავრობათა სახელით დემარში გააკეთეს შვეციის მთავრობის წინაშე და მოითხოვეს შესწყვიტოს გერმანიაში გატანა შვედური ბურთულასაკისარისა, რასაც გერმანია იყენებს მოკავშირეთა შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული საჭურვლის დასამზადებლად და რაც ხელს უწყობს ჰიტლერელებს მათი სრული კრახის ვადის გადადებაში.

ინგლისისა და ამერიკის მთავრობათა ამ დემარშს მხარი დაუჭირა აგრეთვე საბჭოთა მთავრობამ სტოკჰოლმში აკრედიტებული საბჭოთა მისიის საშუალებით.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲝᲠᲒᲐᲜᲨᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲫᲕᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲔᲰᲘᲠᲐᲜᲘ, 26 აპრილი (საკდესი). საბჭოთა საელჩომ ირანის პრემიერ-მინისტრ საეიდ გადასცა ერთი მილიონი რიალის ჩეკი „ირანის „წითელი ლომისა და მზის საზოგადოებისათვის“ გადასაცემად გორგანში მომხდარი მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დახმარების ფონდისათვის. თეირანის გაზეთები ირანელი ხალხის სახელით მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირს ამ დახმარებისათვის.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘ Ვ. Ი. ᲞᲔᲡᲬᲝᲕᲘᲡ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲐ

27 აპრილს თბილისში შესდგა ამიერკავკასიის ფრონტის არტილერიის სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ ვლადიმერ ივანეს-ძე პესტოვის დაკრძალვა.

წითელი არმიის სახლის დიდ დარბაზში, სადაც დასვენებული იყო მიცვალებულის კუბო, დილიდანვე უწყვეტ ნაკადად იწყეს დენა თბილისის მშრომელებმა, წითელი არმიის ნაწილთა მებრძოლებმა და ოფიცრებმა.

სამგლოვიაროდ მორთული დარბაზის შუა ადგილას აღმართულ კვარცხლბეკზე დასვენებული კუბო შემკობილი იყო გვირგვინებით—საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისაგან, ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოსაგან, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტისაგან, მრავალ სამხედრო ორგანიზაციათა და საჯარისო შენაერთებისაგან.

ნაშუადღევის 3 საათზე დაიწყო უკანასკნელი, გამოსათხოვარი სამოქალაქო პანაშვიდი.

საპატიო ყარაულზე დგებიან ამხანაგები კ. ჩარკვიანი, გ. ბაქრაძე, მ. ბარამია, არმიის გენერალი ი. ტიულენევი, ს. იშხანოვი, ა. კვაჭაძე; მათ სცვლიან ამხ. გ. გოჩაშვილი, მ. ჩუბინიძე, გენერალ-მაიორი ეფიმოვი, ვ. ფოგუა. დარბაზში მშრომელთა შესვლა შესწყდა. ოქრჩებიან განსვენებულის მახლობლები და მეგობრები.

დარბაზიდან გამოაქვთ ხუთი ალისფერი პატარა ბალიში გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ი. პესტოვის ორდენებითა და მედლით. საბჭოთა მთავრობამ ეს გამოჩენილი მხედართეფერმეი დაუჯილდოვა წითელი დროშის ორი ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორდენით. ერთ-ერთ მეთაურს წინ მოაქვს განსვენებულის საბრძოლო ხმალი.

შემდეგ დარბაზიდან გამოაქვთ მრავალრიცხოვანი გვირგვინები. კუბო გამოასვენეს განსვენებულის ამხანაგებმა და თანამებრძოლებმა, რომლებმაც იგი დასვენეს ქვემეხის ლაფეტზე.

სამგლოვიარო პროცესია გაემართა ვერის ძველი სასაფლაოსაკენ. პესტოვს უკანასკნელ გზაზე აცილებენ კ. ჩარკვიანი, გ. ბაქრაძე, ი. ტიულენევი, ბ. [illegible], ს. [illegible], გ. გოჩაშვილი, წითელი არმიის გენერლები, ოფიცრები და მებრძოლები, თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები, ახლადგათხრილ სამარესთან დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გორბუნოვმა სამგლოვიარო მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და სიტყვა მისცა ამიერკავკასიის ფრონტის სარდალს არმიის გენერალს ამხ. ი. ტიულენევს.

— დღეს ჩვენ ვეთხოვებით,—ამბობს არმიის გენერალი ამხ. ი. ტიულენევი,—ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილს და ჩვენი ქვეყნის ღირსებასა და თავისუფლებისათვის თავდადებულ მებრძოლს, სტალინური წრთობის ერთ-ერთ საუკეთესო გენერალს ვლადიმერ ივანეს-ძე პესტოვს.

ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებს, ჩვენს მებრძოლებს, სერჟანტებს, ოფიცრებს და გენერლებს არასოდეს დავიწყდებათ განსვენებული გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. პესტოვი და სამუდამოდ შეინახავენ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ა. კვაჭაძემ.

— საქართველოს მშრომელები უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ ვ. ი. პესტოვის დაკარგვის გამო,—სთქვა ამხ. კვაჭაძემ. ისინი არასოდეს დაივიწყებენ განსვენებულის დამსახურებას ამიერკავკასიის აყვავებული რესპუბლიკების მშრომელებისადმი, კავკასიონის მისადგომებთან გერმანელ დამპყრობთა ურდოების განადგურების საქმეში. განსვენებულის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენი ხალხის გულში.

ამიერკავკასიის ფრონტის მებრძოლებისა, ოფიცრებისა და გენერლების სახელით გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. რიმარეევმ.

დამთავრდა მიტინგი, დაჰხარეს დროშები და გაისმა გამოსათხოვარი ჰიმნი.

ქვემეხებისა და თოფების სამგზისი ხალვის გრიალში კუბო ჩაუშვეს სამარეში.

ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲜᲘᲐᲕᲔᲑᲔᲚᲜᲘ ᲡᲐᲡᲬᲘᲙᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲠᲝᲜ

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში ადგილი აქვს პროდუქტებისა და სამრეწველო საქონლის მითვისება-განიავების ფაქტებს.

კაგანოვიჩისა და ლენინის სახელობის მაღაროებში მუშების კუთვნილი 700-1.000-გრამიანი ბარათები სანგარიში დარგის მუშაკებმა დაიტოვეს, მუშებს კი 500-გრამიანი ბარათები მისცეს. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში მშრალი პროდუქტების მისაღებად სიაში შეიტანეს ვიღაც ნენუ, შურა და ოთარ ბერიძეები, რომლებიც მაღაროში არ მუშაობენ.

№ 10 მაღაზიის გამგე დ. ცოცანაშვილმა სამი წყვილი ქალის ჩულქი უბარათოდ გასცა. ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა მაღაზიაში 30 წყვილი ქალის ჩულქიდან მუშებზე 5 წყვილი გასცეს, ხოლო 25 წყვილი მაღაზიის თანამშრომლებმა გაინაწილეს.

№ 7 სასადილოში (გამგე თეგზაძე) მუშებს აკლებენ კუთვნილ ცხიმს, ხორცს და კერძებში ზედმეტს ახდევინებენ. 31 მარტს მიმტანმა თ. ნეფარიძემ მუშებს დ. რობაქიძეს, გ. ცარციძეს, ვ. გაფრინდაშვილს და შეყილაძეს 380 გრამი ცხიმი დააკლო თვითეულს. კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს მუშათა მაღაზიაში (გამგე ნ. გაფრინდაშვილი) ყოველ მუშას 150 გრამ შაქარს აკლებდნენ. დმიტროვის სახელობის მაღაროში (მაღაზიის გამგე ილ. ფხაკაძე) 5 აპრილს მუშა ᲨᲗ. ხახიშვილს დააკლეს 170 გრამი ბურღული და 150 გრამი ხორცი, ჰ. მაჭარაშვილს—150 გრამი ბურღული და 450 გრამი ხორცი.

მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს მუშათა სასადილოს მაზარეულმა ა. აბდუშელიშვილმა, მუშების კუთვნილი 3 კილოგრამი ცხიმი ნ. ცირეკიძეს მიჰყიდა სპეკულანტურ ფასებში. ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების საწყობის გამგის მოდგილე ვლ. ჯაოშვილმა საწყობიდან ქურდულად გაიტანა 18 კილოგრამი კარტოფილი, 16 კილოგრამი თევზი და ვიზე კოკოშვილს სპეკულანტურ ფასებში მიჰყიდა. ასევე 1 აპრილს სასურსათო და სამრეწველო საქონლის საწყობის გამგე ვ. წვერავამ საწყობიდან ქურდულად გაიტანა 32 კილოგრამი ლობიო, 9 კილოგრამი მარგარინი და 11 კილოგრამი შაქარი.

ამ ფაქტებიდან სჩანს, რომ მარგანეცის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებაში გულმოდგინედ არ ხდება კადრების შერჩევა, სავაჭრო ქსელში შეპარული არიან გამფლანგველები და სპეკულანტები. მაგალითად, ილ. ფხაკაძე არაერთგზის იყო მოხსენილი საამუშაოდან პროდუქტების მითვისებისათვის, მაგრამ მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსმა შ. ახალედიანმა ის კვლავ დანიშნა სასადილოს გამგედ. გამყიდველი ძ. ოსებაშვილი ორჯერ იყო მოხსნილი გაფლანგვისათვის, 1943 წელს კი დაპატიმრებული, როგორც სპეკულანტი. მაგრამ ახალედიანმა 1943 წლის 1 სექტემბერს ის № 8 მაღაზიის გამგედ დანიშნა. ასევე შეუმოწმებლად მიიღეს სამუშაოზე გამფლანგველები ხ. კაციაშვილი და რ. ცოცანაშვილი.

პროდუქტების განაოვებას არც თვითშ. ახალედიანი აკლებდა ხელს. იგი თავისი ნებასურვილისამებრ არიგებდა პროდუქტებს. სხვადასხვა პირებზე მან უკანონოდ გასცა 345 კილოგრამი კარტოფილი, 10 კილოგრამი პური, 10 კილოგრამი ყველი, 5 კილოგრამი ცხიმი, 4 კილოგრამი ძეხვი, 10 კილოგრამი კონფეტი, აგრეთვე რძე, ბრინჯი საპონი და სხვა პროდუქტები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუშათა მაღაზიების, სასადილოების მუშაობასა და საერთოდ მუშათა კუთვნილი პროდუქტების გაცემას ნაკლებ კონტროლს უწევენ ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები, ქალაქის პროკურატურა, ქალაქის საბჭოს საავაჭრო განყოფილება და საკონტროლო-საარღრიცხვო ბიურო.

დამნაშავენი სასტიკად უნდა დაისაჯონ.

Ჯ. ᲭᲘᲝᲙᲐᲫᲔ

ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲜᲘ

ფართო მოხმარების მთელი რიგი ახალი ნაწარმნი გამოუშვეს სარეწაო კავშირის ლითონის დამმუშავებელმა არტელებმა. „მეტალიზმა“ მოაწყო ჩამოსაკიდი საიდუმლო ბოქლომების მასობრივი წარმოება. 5 ახალი სახის ფართო მოხმარების საგნის წარმოება მოაწყო „მელითონემ“. ამჟამად არტელი აწყობს სანთურის წარმოებას პრიმუსისათვის. არტელმა „უნივერსალმა“ პირველ კვარტალში დაამზადა 300.000 მანეთის ჩამოსაკიდი ბოქლომი, ლითონის სავარცხელი და ფართო მოხმარების სხვა საგნები. (საქდესი).

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ფილიალი და ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა 1 და 2 მაისს ღია იქნება დილის 9 ს. და 30 წუთიდან სალამის 6 საათამდე. 30 აპრილს სტამბა და ლენინის მუზეუმის ფილიალი დაკეტილი იქნება.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ᲒᲐ. ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲙᲘ

(ფუნიკულორის პლატო)

1 და 2 მაისს

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲔᲘᲠᲜᲝᲑᲐ

პარკში სასულე ორკესტრი, ესტრადაზე დიდი კონცერტი.

დასაწყისი საღ. 6 ს. და 30 წ.

სამკითხველო, საჭადრაკო-საშაშო, საბილიარდო ღიაა დილის 11 საათიდან.

პარკში მრავალფეროვანი გასართობები

დაწვრილებით აფიშებში.

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲙᲘ

1, 2 და 3 მაისს

ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ

დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი სტენდები და გამოფენები.

კინოთეატრში ახალი ფილმი. ესტრადაზე **დიდი კონცერტი.**

საცეკვაო მოედანზე **ცეკვები პარკის ატრაქციონებთან ერთად, ჯაზი.**

საბავშვო რკინიგზა, კარუსელი, თამაში და გართობა.

ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲕᲐᲕᲠᲪᲔᲚᲝᲗ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისა და აყვავებისათვის ბრძოლაში საბჭოთა გლეხებმა სამეურნეო მშენებლობის შესანიშნავი სკოლა განვლეს. სოფლად წარმოიშვა და აღიზარდა სოციალისტური მიწათმოქმედების ოსტატთა მრავალრიცხოვანი არმია. მათ, საკოლმეურნეო შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის დაუღალავმა მებრძოლებმა, გვიჩვენეს, შეუშმარიტად რაოდენ განუსაზღვრელი შესაძლებლობანი გააჩნია ჩვენს სოფლის მეურნეობას მინდვრის მოსავლიანობისა და ფერმიანობის ინტენსიფიკაციის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის